იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 (32) 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 89 „22" „ივნისი" 2021 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სიმბოლოს შეთანხმების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შეთანხმებულად ჩაითვალოს სამსახურის დირექტორის მიერ წარმოდგენილი სამსახურის სიმბოლო (ლოგო) დანართი N1-ის შესაბამისად;
2. სამსახური უფლებამოსილია ლოგო გამოიყენოს სამსახურის, მათ შორის იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას ან/და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენისას;
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სამსახურის არსებული სიმბოლო (ლოგო);
4. გადაწყვეტილება ძალაში შედის 2021 წლის 1 თებერვლიდან;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

თამარ გვარამაძე

ესმა ნორაკია

პავლე აბაიაძე

სოფო ჩაჩავა

ირაკლი გვარამაძე

ИУРИДИУЛИ ДАХМАРЕБИС САМСАХУРИ

სსიპ იურიდიული სამსახურის ემბლემის აღწერილობა

ლაჟვარდის არშიით შემოსაზღვრული ჰერალდიკური ფარის ვერცხლის ველზე გამოსახულია ჰერალდიკური ფარი არშიით.

მცირე ფარის ვერცხლის ველის ზედა ნახევარზე დატანილია საქართველოს სახელმწიფო დროშის მეწამული ხუთჯვრიანი გამოსახულება, ხოლო ქვედა ნაწილში კლასიკური სვეტის მეწამული სტილიზებული ფიგურა.